ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-15. 15231784**

თარიღი:**27/06/2023**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ საპრივატიზებო უძრავ ობიექტთა ნუსხას (დანართი 1) დაემატოს შემდეგი შინაარსის 216-ე პუნქტი:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართი (კვ.მ.)	შენობის ფართი (კვ.მ.)
216	ქ. ბათუმი, ხახულის ქ.№31-33	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.11.885	4	--

ბ) განკარგულებით დამტკიცებულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმას (დანართი 2) დაემატოს შემდეგი შინაარსის 216-ე პუნქტი:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/ პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
216	ქ. ბათუმი, ხახულის ქ. №31-33	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.11.885	4	--	1400	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე

გ) განკარგულებით დამტკიცებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის (დანართი 2) პუნქტი 87-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები		საწყისი საპრივატიზებო საფასური (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო/ პირობებიანი)	ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდი ან/და პერიოდულობა
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)			
87	ქ. ბათუმი, ტ.შევჩენკოს 12	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.19.692	258	–	156 500	უპირობო	ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი